DAAD Deutscher Akademischer Austausch Dienst
German Academic Exchange Service

სტიპენდიები ხელოვანთათვის /Studienstipendien für Künstler

მიზანი:

კვალიფიკაციის ამაღლება ხარისხის გარეშე (სახვითი ხელოვნების, დიზაინის, კინოს, მუსიკისა და არქიტექტურის, ასევე სამსახიობო, სარეჟისორო, ცეკვისა და ქორეოგრაფიის დარგის წარმომადგენლებისათვის).

ხანგრძლივობა: ერთი სასწავლო **წელი**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:

კონკურსანტებს, რომელთაც სწავლის შესაძლებლობები სამშობლოში ამოწურეს და აიღეს შესაბამისი დიპლომი. უნივერსიტეტის დამთავრებიდან კონკურსში მონაწილეობამდე არ უნდა იყოს გასული ექვს წელზე მეტი.
სტიპენდიანტებს, რომლებიც განაცხადის შემოტანის მომენტისათვის უკვე ერთ წელზე მეტია გერმანიაში იმყოფებიან, არ აქვთ განაცხადის შემოტანის უფლება.

საჭირო საბუთები: სამ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი ანუ ნათარგმნი დოკუმენტი გერმანულ ან ინგლისურ ენაზე, დამოწმებული ნოტარიულად/უნივერსიტეტის ბეჭდით და მისი ორი ასლი).

- Online-ფორმულარი (იხ. DAAD-ს ვებ-გვერდი www.ic.daad.de/tbilissi სტიპენდიები)
- 3 ფოტოსურათი (სამივე ფოტო ორიგინალი)
- ავტობიოგრაფია (CV)
- მოტივაციის წერილი, რომელშიც ზუსტად და თანმიმდევრულად იქნება ჩამოყალიბებული კონკურსანტის პირადი და პროფესიული მიზნები სამაგისტრო კურსთან მიმართებაში.
- გერმანელი პროფესორის თანხმობა ხელმძღვანელობაზე, რომელიც კონკრეტულად ეხება სასწავლო პროგრამას
- ერთი ქართველი პროფესორის რეკომენდაცია (ივსება შესაბამისი ფორმულარი. იხ. DAAD-ს ვებ-გვერდი – www.ic.daad.de/tbilissi - სტიპენდიები)
- დიპლომი (ბაკალავრის, 5-წლიანი სწავლების ან მაგისტრის) ნიშნების ფურცელთან ერთად (ნათარგმნი და დამოწმებული).
- საშუალო სკოლის ატესტატი ნიშნების ფურცელთან ერთად (ნათარგმნი და დამოწმებული).
- გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა. კონკურსანტებისთვის, რომლებიც არ ფლობენ გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (B1, B2, C1, C2, ZOP, KDS, TestDaF, DSD, ZMP), სავალდებულოა onDaF ტესტის გავლა. დამატებითი ინფორმაცია რეგისტრაციის თარიღების შესახებ იხილეთ DAAD-ს ვებ-გვერდზე.
- კონკურსებში/გამოფენებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები (თუკი არსებობს)

ნამუშევრები: ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებმა ზემოთჩამოთვლილი საბუთების გარდა უნდა წარმოადგინონ ნამუშევრები. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე: www.ic.daad.de/tbilissi-სტიპენდიები

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას მოცემული თანმიმდევრობით !
არასრული საბუთები არ განიხილება !
დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ DAAD-ს ვებ-გვერდზე !

საბუთების მიღების ბოლო ვადა: 29 ოქტომბერი 2010 (18:00 სთ)
თბილისი, ზანდუკელის 16 / ტელ: 920-926 / მიღების საათები: 14.00-18.00 სთ.
www.ic.daad.de/tbilissi